



**თბილისის სააპელაციო სასამართლო**

**ბ ა ნ ჩ ი ნ მ ბ ა**

საქართველოს სახელით

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №2ბ/3977-10

13 აპრილი, 2011წ.

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო

სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა

თავმჯდომარე – ბესარიონ ტაბალუა

მოსამართლეები: მათა ბაქრაძე

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა თამაზ გიგოლაშვილის განცხადების თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 02 ივლისის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინების საჯაროდ გავრცელების საკითხი

**გამორკვევა:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 02 ივლისის განჩინებაში გასწორდა დაშვებული უსწორობა და მისი სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

რამაზ ჯალალიშვილი თამაზ გიგოლაშვილს 2002 წლის 31 დეკემბრამდე გადაუხდის 2300 (ორი ათას სამასი) აშშ დოლარს.

თამაზ გიგოლაშვილი თანახმაა მიიღოს რამაზ ჯალალიშვილისგან 2002 წლის 31 დეკემბრამდე 2300 (ორი ათას სამასი) აშშ დოლარი.

აღნიშნული თანხის დათქმულ ვადაში მიღების შემდეგ თამაზ გიგოლაშვილი თანახმაა ბინა მდებარე თბილისში, ლითონკონსტრუქციის მე-6 დასახლება №158/2 საჯარო რეესტრში აღრიცხოს რამაზ ჯალალიშვილის სახელზე.

აღნიშნულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში რამაზ ჯალალიშვილს პრეტენზია აღარ ექნება სადავო ბინაზე, ნებაყოფლობით დაცლის ბინას და გადასცემს თამაზ გიგოლაშვილს.

მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო გაუქმდა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინება მოწინააღმდეგე მხარეს – რამაზ ჯალალიშვილს ორჯერ გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართებზე. (იხ. განჩინების გზავნილი სფ. 360-362, 367-369.) ასევე ორჯერ გაეგზავნა განჩინების ასლი რამაზ ჯალალიშვილის წარმომადგენელს ამირან ხუციშვილს რეგისტრაციის მისამართზე (იხ. საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულება ს.ფ. 354-355, გზავნილი ს.ფ.371-376)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს რამაზ ჯალალიშვილს საქმეში მითითებულ მისამართზე განჩინების ასლის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინების ასლი მას უნდა ჩაბარდეს საჯაროდ გავრცელების საშუალებით.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 78-ე, 284-ე და 414-ე მუხლებით

## დ ა ა დ ბ ი ნ ა:

1. რამაზ ჯალალიშვილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინების შესახებ ეცნობოს საჯაროდ გავრცელების საშუალებით.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინება გამოქვეყნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
3. განემარტოს მოწინააღმდეგე მხარეს, რომ განჩინება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

თავმჯდომარე

ბესარიონ ტაბალუა

მოსამართლეები

მაია ბაქრაძე

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი